



E - GOVERNMENT . GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #29 ნოემბერი, 2013

გამოშვებაში
წაიკითხავთ

GITI 2013 1

OGP-ს სამიტი 2

საერთაშორისო
კონფერენცია
ბაქოში 3

THE NETWORKED
READINESS IN-
DEX-ში 3
საქართველომ 23
პოზიციით
გაიუმჯობესა
ადგილი

გამოვლინდნენ
მედია კონკურსის
გამარჯვებულები 4

CONT_ACT RIGA
2013 - 4
საერთაშორისო
კონფერენცია
ლატვიაში

ტრენინგი
ინფორმაციული
უსაფრთხოების
მართვის
საკითხებზე 4

ეროვნულ არქივში
ელექტრონული
კატალოგი
ამოქმედდა 5

საქართველოს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების VI რეგიონული კონფერენცია/გამოფენა და IT ინოვაციების დაჯილდოება (GITI 2013)



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ICT ბიზნეს საბჭოს ორგანიზებით 28-29 ნოემბერს, სასტუმროში „შერატონ მეტეხი პალასი“ რიგით VI ყოველწლიური რეგიონული კონფერენცია (გამოფენა, დაჯილდოება) გაიმართა, რომლის მთავარი თემები იყო კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების

მიმართულებები. კონფერენცია წლის საუკეთესო IT პროექტების ავტორთა დაჯილდოების ცერემონილით 29 ნოემბერს დასრულდა.

ღონისძიება გახსნა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა**. კონფერენციის მონაწილეებს გახსნილი სიტყვით ასევე მიმართეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ **დიმიტრი ქუშინიშვილმა**, ICT ბიზნეს საბჭოს პრეზიდენტმა **გიგა შუბითიძემ** და ავსტრიის ელექტრონული მმართველობის ფედერალურმა აღმასრულებელმა მდივანმა **კრისტიან რუჰმა**.

წლევანდელი კონფერენცია, რომლის დევიზიც იყო „ინფორმაციული ტექნოლოგიები მომავლისთვის“, რეკორდული რაოდენობის მონაწილეებს მასპინძლობს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებული იყო მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელი, რომლებმაც განიხილეს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების საკითხები, წარმოადგინეს წლის განმავლობაში შემუშავებული ინოვაციური IT პროექტები და გაეცნენ აღნიშნული მიმართულებით ამა თუ იმ ქვეყნის მიერ მიღწეულ წარმატებებს (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1)

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო როგორც საქართველოში, ისე რეგიონში ელექტრონული მმართველობის განვითარების პროექტებს, ასევე ამ პროექტებში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის პროცესს.

კონფერენციის მე-2 სამუშაო დღე მთლიანად დაეთმო კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებს. კიბერ უსაფრთხოების შესახებ მოხსენება გააკეთეს ამ მიმართულების მსოფლიოში აღიარებულმა ექსპერტებმა.

„ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება წარმოუდგენელია ინფორმაციული უსაფრთხოების გადაწყვეტილებების განვითარების გარეშე. დღეისათვის საქართველო ელექტრონული მმართველობის განვითარების გზაზე მნიშვნელოვან ეტაპს გადის. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ იქმნება ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული არაერთი მომსახურება და ამით მარტივდება და თვისობრივად ახალ ეტაპზე გადადის სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობა. ეს პროცესი კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან. ამდენად, კონფერენციას ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთანავე, როგორც ელექტრონული მმართველობის, ისე ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

კონფერენცია ტრადიციულად დაჯილდოების ცერემონიალით დასრულდა. წელს 17 ნომინაციაში როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან 50-მდე პროექტი იყო წარმოდგენილი.

გასულ წელეებში ანალოგიურ კონკურსში არაერთი გამარჯვებული გამოვლინდა: 2012 წელს გრან-პრის მფლობელი გახდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2011 წელს გრან-პრის მფლობელი გახდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, 2010 და 2008 წლებში კი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ხოლო 2009 წელს - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

GITI 2013-ის განსაკუთრებული მხარდამჭერია ევროკავშირის ელ-მმართველობის განვითარების პროექტები.

სპონსორები: HP, Microsoft, Cisco, SAP, UGT, Orient Logic.

საქართველოს დელეგაციამ იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით „OGP“-ის სამიტში მიიღო მონაწილეობა



დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership) სამიტი გაიმართა, რომელშიც საქართველოს დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა. საქართველოს დელეგაციას იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი** ხელმძღვანელობდა.

ყოველწლიური სამიტის მონაწილეებს, რომელშიც 61 ქვეყნის 1000-ზე მეტი დელეგატი, მათ შორის, სამთავრობო, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის სექტორის წარმომადგენლები არიან, დღეს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა მიმართა.

პლენარული სესიის დასრულების შემდეგ პარალელური სესიები გაიმართა. იუსტიციის მინისტრმა მონაწილეობა მიიღო მონაცემთა ღიაობისა და ინფორმაციის თავისუფლების სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. თეა წულუკიანის განცხადებით,

საქართველოს მთავრობა მოწოდებულია, უზრუნველყოს საჯარო უწყებების მეტი გამჭვირვალობა.

„ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი ინიციატივა, რომელიც საქართველოს მთავრობას სამოქალაქო საზოგადოებასთან არ შეეთანხმებინა. ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პარტნიორი სწორედ არასამთავრობო სექტორია, რომელთა შენიშვნებს ყოველთვის ვითვალისწინებთ რეფორმების პროცესში“, - აღნიშნა მინისტრმა. მისივე თქმით, საქართველოში მოქმედებს ერთ-ერთი ყველაზე მოკლე - 10- დღიანი, ვადა საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის.

თეა წულუკიანმა, ასევე, ისაუბრა ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულებაზე, რომელიც საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან აიღო. იუსტიციის სამინისტროს შეთავაზებით კი, მთავრობამ დაამტკიცა აუცილებლად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა (გაგრძელება გვ. 3)

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2)

ლონდონის სამიტის მუშაობაში 80-ზე მეტი ჟურნალისტი და ბლოგერი მონაწილეობს. მათთვის დღეს სამიტში მონაწილე ქვეყნების დელეგაციის ხელმძღვანელებმა, მათ შორის, **თეა წულუკიანი**მაც, პრესკონფერენცია გამართეს. მინისტრმა საქართველოში ღია მმართველობის პარტნიორობის გეგმის შესრულებასა და გამოწვევებზე ისაუბრა. სამიტზე თითოეული ქვეყანა წარადგენს ერთ ახალ, ამბიციურ ვალდებულებას, რომელიც განახლებულ სამოქმედო გეგმაში აისახება. **თეა წულუკიანი**ს საქართველოს ვალდებულებად data.gov.ge - საჯარო ინფორმაციის ერთიანი ბაზის - შექმნა დაასახელა, რომელიც მოქალაქეს საშუალებას მისცემს, იხილოს და ჩამოტვირთოს უკვე პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია, ან გამოითხოვოს სასურველი ელექტრონულად.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა



2-3 დეკემბერს, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ ირაკლი გვენეტაძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში Global Cybersecurity Cooperation: Challenges and Visions (<http://bakucyber.az/en/>), რომელიც ორგანიზებული იყო მსოფლიო ბანკისა და აზერბაიჯანის კომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამინისტროს მიერ. აღნიშნული კონფერენცია პირველად ჩატარდა ბაქოში და მასში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა აზიის ქვეყნებზე.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სახელით ირაკლი გვენეტაძემ მოხსენება გააკეთა სააგენტოს საქმიანობისა და კბერუსაფრთხოების იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც დგას საქართველოსა და რეგიონის წინაშე.

„ლონისძიება მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების კიბერუსაფრთხოების დარგის წარმომადგენლებთან, ასევე აზიის ქვეყნების

სპეციალისტებთან ახალი კონტაქტების დამყარების თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით საინტერესოა ურთიერთობის დამყარება აზერბაიჯანულ მხარესთან, რომელთა მხრიდან გამოითქვა სამომავლო თანამშრომლობის დიდი სურვილი.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

THE NETWORKED READINESS INDEX-ში საქართველომ 23 პოზიციით გაიუმჯობესა რეიტინგი და 65-ე ადგილზე გადმოინაცვლა

The Networked Readiness Index-ში საქართველომ 23 პოზიციით გაიუმჯობესა რეიტინგი და შარშანდელი 88 პოზიციიდან 65-ე ადგილზე გადმოინაცვლა. როგორც "ინტერპრესნიუსს" ეკონომიკის სამინისტროდან აცნობეს, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც ერთ წელიწადში ამდენი პოზიციით გაიუმჯობესა რეიტინგი. სულ რეიტინგში 144 ქვეყნის მონაცემებია შესული.

The Networked Readiness Index (ქსელური მზაობის ინდექსი) არის კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც მსოფლიოს ქვეყნებში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ხარისხს ასახავს. აღნიშნული რეიტინგი 2002 წლიდან მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში ყოველწლიურად ქვეყნდება. ქსელური მზაობის ინდექსი სამ მთავარ ჯგუფში გაერთიანებული 53 პარამეტრის თანახმად გამოითვლება: 1.საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) განვითარებისთვის სათანადო პირობების არსებობა - ICT - ის თვალსაზრისით საქმიანი და ნორმატიული-სამართლებრივი გარემოს საერთო მდგომარეობა, ჯანსაღი კონკურენციის არსებობა, ინოვაციური პოტენციალი, აუცილებელი ინფრატრუქტურა, ახალი პროექტების ფინანსირების შესაძლებლობა, რეგულირების ასპექტები და სხვ. 2. მოქალაქეების, საქმიანი წრეებისა და სახელმწიფო ორგანოების მზაობა ICT-ის გამოყენების მიმართულებით - სახელმწიფოებრივი პოზიცია საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების შესახებ, ამ სფეროში სახელმწიფო ხარჯები, ბიზნესისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, ინტერნეტის ქსელის ხელმისაწვდომობა და შეღწევადობის ხარისხი, მობილური კავშირის ღირებულება და სხვ. 3. ICT-ის გამოყენების ხარისხი საზოგადოებრივ, კომერციულ და სახელმწიფო სექტორებში - პერსონალური კომპიუტერების, ინტერნეტ და მობილური კავშირგამბულობის აბონენტების რაოდენობა, სახელმწიფო ორგანიზაციებში მოქმედი ინტერნეტ-რესურსების არსებობა, აგრეთვე ქვეყანაში საინფორმაციო ტექნოლოგიების მოხმარება და წარმოება.

დაძმობილების (TWINNING) პროექტი: მედია კონკურსის - „ელ-საქართველო - მომავალი იწყება ახლა“/ელ-მმართველობა მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამარჯვებულები გამოვლინდნენ



29 ნოემბერს, მე-6 რეგიონული კონფერენციის GITI 2013 დასკვნით ეტაპზე მონაცემთა გაცვლის სააგენტომ მედია კონკურსის გამარჯვებულები გამოავლინა. ელ-მმართველობა თანამედროვე სახელმწიფოსა და მომხმარებელზე ორიენტირებული ეფექტური საჯარო ადმინისტრაციის სინონიმია. კონკურსის მიზანი იყო გამოველინა ჟურნალისტური ნაშრომი, რომელიც ხელს უწყობს ელ-მმართველობის, ელ-სერვისების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების ცნებებისა და ღირებულებების უკეთ გაგებას.

გამარჯვებულები გამოვლინდნენ 3 კატეგორიაში: საუკეთესო სტატია (გაზეთი, ჟურნალი, ვებგვერდი); საუკეთესო სოციალური მედიის პროფილი/ბლოგი; საუკეთესო აუდიო-ვიზუალური სიუჟეტი.

„მოხარულნი ვართ, რომ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად კონკურსი წარმატებით ჩავატარეთ. ეს იყო პირველი მცდელობა საინფორმაციო-საკომუნიკაციო და ელ-მმართველობის თემებზე ჩაგვეტარებინა მედია კონკურსი. მიღებული შედეგებით კმაყოფილები ვართ და მადლობას ვუხდით თითოეულ ჟურნალისტს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ კონკურსში.“ - **კრისტინა რუპი**, დაძმობილების (TWINNING) პროექტის - საქართველოში ელ-მმართველობის განვითარების ხელშეწყობა - ლიდერი.

CONT_ACT RIGA 2013 - საერთაშორისო კონფერენცია ლატვიაში



21-23 ნოემბერს, ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართა ელ-მმართველობის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია სახელწოდებით CONT_ACT RIGA 2013: E-Government CONtEnt and ACTions – Effective Public Services.

საერთაშორისო კონფერენციის მიზანი იყო თავი მოეყარა ელ-მმართველობის სფეროში 250-ზე მეტი ექსპერტისა და გადაწყვეტილების მიმღები მენეჯერისთვის, რათა მათ ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ ის გამოცდილება, რომელიც არსებობს სამთავრობო სექტორსა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის. ემსჯელათ იმ საშუალებებზე, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მთავრობების ეფექტიანობის გაზრდა, რათა მათ სულ უფრო მეტად გამოიყენონ ელექტრონული საშუალებები სერვისების მიწოდების პროცესში.

კონფერენცია ორგანიზებული იყო ლატვიის გარემოს დაცვისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ ლატვიის IT Cluster-თან თანამშრომლობით.

კონფერენციის მუშაობაში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსმა ნატა გოდერძიშვილმა, რომელმაც კონფერენციის მონაწილეებისთვის გააკეთა პრეზენტაცია საქართველოში ელ-მმართველობის განვითარების მხრივ არსებულ სიტუაციაზე, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე და სააგენტოს როლზე ამ მიმართულებით.


ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის საკითხებზე

18-22 ნოემბერს, იუსტიციის სასწავლო ცენტრში მონაცემთა გაცვლის სააგენტომ გამართა ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის საკითხებზე. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო კრიტიკული ინფრასტრუქტურის სისტემების სუბიექტების 16-მა წარმომადგენელმა.

ტრენინგის მიზნად ისახავდა ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ასევე ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დაგეგმვის, დანერგვისა და აუდიტის ეტაპების გაცნობას.

ტრენინგის განმავლობაში მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციული უსაფრთხოების პრაქტიკაში დანერგვის გზებს, რათა მათი დაწესებულების საქმიანობა თავსებადი იყოს საქართველოს კანონთან ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ. ტრენინგის თემატიკა მოიცავდა სამ მიმართულებას: ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შესავალი; ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა; ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტი. იუსტიციის სასწავლო ცენტრში აღნიშნული ტრენინგი 5 დღის განმავლობაში გრძელდებოდა და 22 ნოემბერს დასრულდა ტესტირებით ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერობის კანდიდატებისთვის.

ეროვნულ არქივში ელექტრონული კატალოგი ამოქმედდა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში ელექტრონული კატალოგის პრეზენტაცია გაიმართა.

ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** ინფორმაციით, „კატალოგში განთავსდება ფონდების, ანაწერებისა და საქმეების ანოტაციები, აგრეთვე, დოკუმენტების ციფრული ასლები. ანოტაციები შედგენილია 3 საერთაშორისო სტანდარტის - ISAD, ISAAR, ISDF - მიხედვით. ამ ეტაპზე

პროგრამაში განთავსებულია 20 000-მდე საქმის ანოტაცია და დოკუმენტების 34 000 გვერდის ციფრული ასლი. გარდა ამისა, უკვე დასკანერებულია 1 მილიონამდე გვერდი, რომელთა ატვირთვა კატალოგში ეტაპობრივად მიმდინარეობს“.

აღსანიშნავია, რომ კატალოგს გააჩნია ძეზნის მოქნილი მექანიზმი, რაც გულისხმობს ძეზნას ფონდის, ანაწერის ან საქმის ნომრის მიხედვით; ძეზნა, ასევე, შესაძლებელია საკვანძო სიტყვების, ფიზიკური ან იურიდიული პირების, თემატური ან გეოგრაფიული საძიებლის გამოყენებით.

იხილეთ ჩვენი საიტები
www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
 სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
 თბილისი 0102, საქართველო
 ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
 ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
 სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **“Unsubscribe”**.